სკ

დამოუკიდებელი სპორტული გაზეთი

16 მაისი, ხუთშაბათი, 1991 წ.
№ 89 (10 502) ● ფასი 10 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

კეტბურთი და სოფთბოლი ამერიკიდან შეჭოვდა ხაქართველოში და მას ჩვენში, როგორც იტყვიან, ნოყიერი ნიადაგი დახვდა. ქართველმა ახალგაზრდობამ შეიყვარა და შეიტკბო „უცხო ხილი“. ამერიკელი სპეციალისტებიც მხარში გვდგანან (იხ. მე-2 გვ.).

ნონა გაფრინდაშვილის საიუბილეო

ეს მეტად მძაფრი ტური

მერვე ტური. ზაიჩიკი — ეფიმოვი 0:1, სტურუა — ჯანჯღავა 0,5: 0,5, გაფრინდაშვილ — იოსელიანის, არახამია — კახიანის, გიორგაძე — გურგენიძის პარტიები გადიდო. ჩიბურდანიძე იხვენებდა.

ერთი პარტია (სტურუა — ჯანჯღავა) საკმაოდ სწრაფად დასრულდა ყაიმით. სხვათა შორის, ეს სტურუას პირველი ყაიმია ამ შეჯიბრებაში. მანამდე იგი სრულიად უკომპრომისოდ თამაშობდა, მაგრამ ახლა სულის მოთქმა სჭირდებოდა წინა ტურში წაგების შემდეგ.

დანარჩენი ოთხი შეხვედრა მეტად საინტერესოდ მიმდინარეობდა და 5 საათის მანძილზე დაძაბული იყო მაყურებელი. გიორგაძე დიდი ძალებით უტევდა გურგენიძის მეფის ფრთას. მან დათმო პაიკი, მაგრამ, სამაგიეროდ, ყველა ფიგურა ფრიად აქტიურად განალაგა. შავების პოზიცია ეჭვს იწვევდა. მათი ერთი მხედარი დაფის ერთ განაპირას აღმოჩნდა და დიდხანს თამაშში არ მონაწილეობდა, მეორე მხედარი კი — დაფის მეორე განაპირას. მაგრამ ვეტერანი ძნელ პოზიციაში მართლაც რომ მისაბაძი შეუპოვრობით თამაშობდა. თეთრების ინიციატივისაგან თანდათან აღარაფერი დარჩა. გურგენიძემ უკუაგდო მეტოქის ფიგურები. დაფაზე მატერიალური წონასწორობა კი აღდგა, მაგრამ უპირატესობა აშკარად შავების მხარეზე გადავიდა. ახლა გადადებულ პოზიციაში გიორგაძე სერიოზული პრობლემების წინაშე დადგა. გურგენიძე ფლობს მეტად მნიშვნელოვან ღია ხაზს, ბოქავს თეთრების ძალებს, ემუქრება მათ მეფეს. ერთი სიტყვით, იმ დროიდან, როცა გურგენიძე თვით განიცდიდა გაპირვებას, აღარაფერი დარჩა. ამ პარტიის დამთავრებას დიდი მნიშვნელობა ექნება.

არახამიამ ეტლის შეწირვით უძლიერესი იერიში წამოიწყო კახიანის ცენტრში დარჩენილი და თითქოს არასაკმარისად დაცული მეფის წინააღმდეგ. ზედმეტი ეტლი, გასაგებია, ბევრს ნიშნავს, მაგრამ ვერაფერი სასიამოვნოა, როდესაც ერთდროულად ლაზიერის, ეტლისა და კუს დარტყმების ქვეშ ხვდები. ეტყობა, არახამიამ ვერ გამოიყენა თავისი შესაძლებლობები, კახიანი კი მისთვის ჩვეული იშვიათი შეუპოვრობით თამაშობდა. საბოლოოდ მან შეძლო უშუალო მუქარის მოგერება. ახლა გადადებულ პოზიციაში კახიანს ზედმეტი ხარისხი აქვს. მდგომარეობა საკმარისად რთულია და ხანგრძლივი თამაშიცაა მოსალოდნელი, მაგრამ პიოველი შთაბეჭდილება ისეთია, რომ შავების მატერიალური უპირატესობა მეტს ნიშნავს, ვიდრე არახამიას ფიგურების აქტიურობა. თუმცა მოვიცადოთ გადადებული პარტიების დამთავრებამდე.

გაფრინდაშვილ-იოსელიანის პარტიაში თავისებური პოზიცია შეიქმნა. თეთრებს ზედმეტი პაიკი ჰყავდათ, რომლის ერთგვარი კომპენსაცია იყო იოსელიანის ორი ძლიერი კუ. მას შემდეგ, რაც მსოფლიო ექსჩემპიონმა ერთ-ერთი კუ გაცვალა, უპირატესობა მთლიანად მის მხარეზე გადავიდა. ახლა გაფრინდაშვილის მხედარი, რომელმაც დაფის ცენტრში გაწლაგების საშუალება მიიღო, გაკილებთ, უკეთესია, ვიდრე შავების კუ. გარდა ამისა, გაფრინდაშვილი იგებს პაიკს. ერთი სიტყვით, გადადებულ პოზიციაში გაფრინდაშვილის უპირატესობა უდავოა.

ზაიჩიკი არ ერიდებოდა მატერიალურ მსხვერპლს, ოღონდ კი ეფიმოვის მეფემდე მიეღწია. ეს მან საბოლოო ანგარიშით ვერ მოახერხა და დამარცხდა.

მაშ ასე, ტურნირის დამთავრებამდე სულ სამი ტური რჩება. საპრიზო ადგილებს იმდენი პრეტენდენტი ჰყავს, რომ თითოეულ შეხვედრას დიდი მნიშვნელობა ენიჭება. რა თქმა უნდა, შეიძლება ლაპარაკი რამდენიმე „უკანდარჩენილ“ მონაწილეზეც — არც ერთ მათგანს არ შეუწყვეტია ბრძოლა.

მონაწილეთა სატურნირო მდგომარეობა ახლა ასეთია: სტურუა კვლავ ინარჩუნებს პირველ ადგილს. მან ყველა — 8 შეხვედრა ჩაატარა, 4,5 ქულა და 1 უარეს პოზიციაში გადადებული პარტია აქვს. 4-4 ქულა მოაგროვეს ჩიბურდანიძემ, ჯანჯღავამ და ეფიმოვმა, სამივემ 7-7 პარტიიდან. 3,5 ქულა და 1 გადადებული პარტია აქვს კახიანს. გურგენიძემ 8 პარტია ითამაშა, ნაგრამ მხოლოდ 5 პარტია დამთავრა, სადაც 3 ქულა მოაგროვა. ახლა ვეტერანის სატურნირო ბედი სწორედ 3 გადადებულ პარტიაზეა დამოკიდებული. გიორგაძემ 7 პარტია ითამაშა, 3 ქულა და 2 გადადებული პარტია აქვს. ზაიჩიკმა 7 პარტიიდან 3 ქულა მოაგროვა. იოსელიანს 7 შეხვედრის შემდეგ 2 ქულა და 1 გადადებული პარტია აქვს, გაფრინდაშვილსა და არახამიას ამდენივე თამაშის შემდეგ — 1,5-1,5 ქულა და ორ-ორი გადადებული პარტია.

ამრიგად, თუმცა ტურნირი დასასრულს მიუახლოვდა, რაიმე გარკვეულის თქმა ჯერ კიდევ სრულიად შეუძლებელია. დაველოდოთ ბოლო შეხვედრებს.

ბივი გამრეკელი

ეხმარებიან...

29 აპრილს საქართველოში მომხდარი მიწისძვრით დაზარალებულებს მატერიალური დახმარება გაუწიეს:

● **სპორტსაზოგადოება** „შევარდენის“ თბილისის საქალაქო საბჭო — 3100 მანეთი თანამშრომელთა პირადი დანაზოგიდან.

● **საფეხბურთო** კლუბი „ცხუმი“ — 2000 მანეთი.

● **ფიზკულტურის** ინსტიტუტთან არსებული საფეხბურთო კლუბი „ვაკე“ — 2000 მანეთი. ამ კლუბის ხელმძღვანელმა ფრანგმა ფეხბურთელებმა თბილისში გამართული ტურნირის შემდეგ მიწისძვრით დაზარალებულ თანატოლთათვის გადასაცემად დატოვეს საგანგებოდ მათთვის ჩამოტანილი ტანსაცმელი.

● **სტუდენტთა** სპორტული კლუბების ასოციაცია — 1000 მანეთი.

სპორტსაზოგადოება „შევარდენის“ სპორტსკოლების თანამშრომლების, შენატანი პირადი დანაზოგებიდან:

● **ჰიდროგის** ოლიმპიური რეზერვის სპორტსკოლა — 347 მან.

● **ფარიკაობის** ოლიმპიური რეზერვის სპორტსკოლა — 250.

● **ტანვარჯიშის** ოლიმპიური რეზერვის სპორტსკოლა — 170.

● **ცურვის** რესპუბლიკური სპორტსკოლა — 295.

● **მაგიდის** ჩოგბურთის სპორტსკოლა — 300.

● **ფიზკულტურის** ინსტიტუტთან არსებული სპორტსკოლა — 105.

● **ბადმინტონისა** და ჩოგბურთის სპორტსკოლა — 640.

● **ვოლეიბოლის** და ძალოსნობის სპორტსკოლები შესაბამისად 270 და 250.

საქართველოს ფედერაცია — სრულუფლებიანი წევრი

24 იანვარს „ლელომ“ მკითხველს აუწყა, რომ საქართველოს ჯიუ-ჯიცუს ფედერაცია მიღებულია პოლონეთის ჯიუ-ჯიცუს აკადემიის წევრად. პოლონეთის აკადემია გახდა საქართველოს ფედერაციის ინტერესების წარმომდგენი საერთაშორისო სპორტულ ცხოვრებაში და მსოფლიო ფედერაციის წინაშე საქართველოს ფედერაციას გაუწია სათანადო რეკომენდაცია-შუამდგომლობა.

ამ დღეებში საქართველოს ჯიუ-ჯიცუს ფედერაციის აღმასრულებელმა დირექტორმა ავთანდილ მიქაძემ პოლონეთის ჯიუ-ჯიცუს აკადემიიდან მიიღო ოფიციალური წერილი, რომლითაც ატყობინებენ, რომ **საქართველოს ფედერაცია მიღებულია მსოფლიო ფედერაციის სრულუფლებიან წევრად** და აღიარების სერტიფიკატი ინახება მათთან. ამასთანავე ითხოვენ მივაწოდოთ ჩვენი ფედერაციის საქმიანობის მონაცემები, რომელსაც შეიტანენ მსოფლიო ფედერაციის კომპიუტერულ ბანკში.

რაც შეეხება სერტიფიკატს, მას ოფიციალურად საქართველოს წარმომადგენლებს გადასცემენ ზელენოგურაში გამართულ სემინარზე.

სპორტის დეპარტამენტი და ფედერაციები ტანვარჯიში

ბაიმართა ტანვარჯიშის სახეობათა (სპორტული და მხატვრული ტანვარჯიში, აკრობატიკა, ბატუტზე ხტომა) რესპუბლიკური ფედერაციის დამფუძნებელი ყრილობა.

ფედერაციის პრეზიდენტად არჩეულია ოლიმპიური რეზერვის ტანვარჯიშის ცენტრალური სპორტსკოლის დირექტორი ანზორ ღონღაძე, პირველ ვიცე-პრეზიდენტად — უმაღლესი დოსტატების ტანვარჯიშის რესპუბლიკური სკოლის სასწავლო ნაწილის გამგე თომზარ ცომაია.

ოთხივე სახეობაში ვიცე-პრეზიდენტებისა და გამგეობათა არჩევნები გაიმართება 24 მაისს.

ყრილობის მუშაობაში მონაწილეობდა საქართველოს სპორტის დეპარტამენტის დირექტორი კახი ასათიანი.

კუს ტბის მიდამოებში ახლახან ჩატარდა გეზრბენი ფიზკულტურის ინსტიტუტთან არსებული ბავშვთა და მოზარდთა ექსპერიმენტული სკოლის აღსაზრდელთა მონაწილეობით. სკოლის 400-მა მომეცადინემ მიიღო მონაწილეობა ამ შეჯიბრებაში, რომელიც 1987 წლიდან ტრადიციულად ტარდება მაისის პირველ ნახევარში. 1978-1984 წლებში დაბადებულთათვის ეს ახალგაზრდა გაიმართა ხუთ ასაკობრივ ჯგუფში. დისტანცია ასაკის შესაფერისი იყო. გამარჯვებულები და პრიზიორები ფულად ჯილდოსაც — 25-დან 50 მანეთამდე იღებდნენ, რამაც დიდი ხტომული მისცა ახალგაზრდობას. გარდა ამისა, საქართველოს სპორტის დეპარტამენტის საწარმოო კომბინატმა (დირექტორი ჯ. ჯავახიშვილი) ექვსი პრიზი გამოყო გამარჯვებულთათვის.

სკოლის 29 მომეცადინემ 500 და 1000 მეტრზე რბენაში შეასრულა თანრიგის ნორმატივები. შეჯიბრების მაღალ დონეზე ჩატარებაში სკოლას დიდი დახმარება გაუწია სპორტულ-გამაჯანსაღებელი კომპლექსის „კუს ტბის“ დირექციამ (დირექტორი რ. ზანდუკელი).

რენდი ბრაუნი:

„მე აუცილებლად დავბრუნდები საქართველოში“

რამდენიმე წელია, გრძელდება ნაყოფიერი კონტაქტები თბილისის კულტურის საზოგადოებრივ ცენტრსა და ამერიკის შეერთებული შტატების ერთ-ერთ უდიდეს კერძო ორგანიზაციას — ახალგაზრდობისა და ოჯახის ქრისტიანულ კავშირ „იმკას“ შორის. ჩვენს რესპუბლიკას არაერთგზის სწვევიან ამერიკის დელეგაციები, რომლებსაც მეთაურობდა საქართველოს დიდი მეგობარი ნიკოლას გონჩაროფი, ეროვნული პროგრამების „იმკას“ დირექტორი.



ცნობილი მსახიობების ერთობლივი კონცერტები, ინვალიდთა მკურნალობა ამერიკის საუკეთესო კლინიკებში, შეხვედრები ქართულ ოჯახებში, სპორტსმენების გაცვლა— აი, ნაყოფიერი კონტაქტების არასრული ნუსხა. ახალგაზრდობისა და ოჯახის ქრისტიანული კავშირის ერთ-ერთი დევიზია „სპორტის მეშვეობით — ჯანსაღი ცხოვრებისაკენ“. უკვე ერთ-ნახევარი საუკუნეა, „იმკას“ წევრები, რომლებიც მსოფლიოს 97 ქვეყანაში მუშაობენ, განუხრელად ახორციელებენ ამ დევიზს.

თბილისის კულტურული ცენტრის დელეგაცია, რომელიც ამ ცოტა ხნის წინათ ესწრებოდა „იმკას“ საერთაშორისო ყრილობას კლივლენდში, დაინტერესდა იმით, თუ როგორ ასწავლიდნენ მოსახლეობას სპორტის ერთ-ერთ ყველაზე პოპულარულ ამერიკულ სახეობას — კეტბურთს. მასპინძლებმა ხალისით უჩვენეს საქართველოდან ჩამოსულ სტუმრებს თავიანთი მიღწევები ამ სფეროში და აღუთქვეს დახმარება საქართველოში ჭაბუკთა კეტბურთის სტიმულირების საქმეში.

...მაუდ-კამვოლის კომბინატ „საქართველოს“ სტადიონზე ქართველ სპორტსმენთა ვარჯიშმა ბევრ ცნობისმოყვარეს მოუყარა თავი: ოღონდაც, ვარჯიშს ატარებს ყოფილი პროფესიონალი კეტბურთელი, დღეს ცნობილი მწვრთნელი რენდი ბრაუნი, რომელსაც არაერთი სპორტული ვარსკვლავი მოუმზადებია. ამჯერად, მოსწავლეთა როლში გამოდიან კლუბ „ივერიის“ წევრები, რომლებსაც მეთაურობს გუნდის უფროსი, ჩვენთვის სპორტის ახალი სახეობის პოპულარიზაციის დიდი ენთუზიასტი მევლუდ გიგანი.

— ჩვენი სპონსორები არიან რესპუბლიკური გაერთიანება „საქავტომოტოსერვისი“ (გენერალური დირექტორი ვანტანგ ჯღენტი), კოოპერატივი „ხარაჩო-1“ (თავმჯდომარე. ამირან გიორხელიძე) და თამარისის მეფრინველეობის ფაბრიკა (დირექტორი ჯანსუღ წულაია). მათ უკვე ბევრი რამ გააკეთეს საქართველოში ჭაბუკთა კეტბურთის ჩამოყალიბებისათვის, მაგრამ რენდი ბრაუნის ჩამოსვლა, ვფიქრობ, დიდ სარგებლობას მოგვიტანს, — თქვა მ. გიგანმა. — შეხედეთ რა მსუბუქად მუშაობს ჩვენი სტუმარი, როგორ ეწაფებიან მის ყოველ სიტყვას, ჩვენი ჭაბუკები და ქალიშვილები... დიახ, ქალიშვილები, ნუ გიკვირთ, ოღონდ ისინი კეტბურთს კი არ თამაშობენ, არამედ სოფთბოლს, და ძლიერი სქესის წარმომადგენლებზე ნაკლებად როდი მიისწრაფვიან ბოლომდე შეიცნონ ამ სპორტული თამაშობის ყველა წვრილმანი.

დავინტერესდი, როგორი შთაბეჭდილება შეექმნა რენდი ბრაუნს. — ერთი წუთით, — მიპასუხა ისე, რომ არ შეჩერებულა. — ახლავე განვთავისუფლდები და შემდეგ ყველაფერზე დაწვრილებით ვისაუბრებთ.

რენდი ბრაუნი კოლეგებსა და ნორჩ კეტბურთელთა შორის.

მაგრამ სტადიონზე საუბარი არ შედგა. ამერიკელ სტუმარს აქეთ-იქიდან აძლევდნენ შეკითხვებს. ისიც პასუხობდა, უჩვენებდა როგორ ეთამაშათ და ზოგჯერ თვითონაც ებმებოდა თამაშში. როგორც ჩანს, თავის ნორჩ კოლეგებზე ნაკლებ სიამოვნებას არ ღებულობდა.

უკვე ნასტუმროში, გაფრენამდე სამი საათით ადრე, რენდი გატაცებით მიამბობდა: „დიდი ხანია, არ მინახავს კეტბურთელთა ასეთი ენთუზიაზმი, და თუ მინახავს, ისიც მხოლოდ ჩვენთან, შტატებში. მსმენია, ქართული ტემპერამენტის შესახებ, მაგრამ აქ მივწვდი, რომ თქვენი ენთუზიაზმი თქვენს პატრიოტიზმშია, განახლებისადმი სწრაფვაში. ყველას ერთი და იგივე აკერია პირზე — „დამოუკიდებლობა, თავისუფლება!“. ეს ძალიან შთამბეჭდავია; მე ამას ვგრძნობ ყველგან — ქუჩებში, ჩემი ახალი მეგობრების სახლებში, სასტუმროში და, რა თქმა უნდა, კეტბურთის მოედანზეც“.

— ძალიან მინდა, თქვა შემდეგ რენდი ბრაუნმა, — ჩემი მუშაობის ნაყოფი ვიხილო. მინდა, რომ ამერიკულმა თამაშმა ყველა გაიტაცოს — პატარაც და დიდიც. ეს ხომ სპორტის ერთ-ერთი ყველაზე დემოკრატიული სახეობაა. ამერიკაში ჩემს ჯგუფებში კეტბურთს თამაშობენ პატარებიც და პენსიონერებიც. ერთი 83 წლის... თავდამსხმელიც გვყავს. თქვენ ბევრი ნიჭიერი ახალგაზრდა გეზრდებათ. 16 წლის ავთო მძინარაშვილთან ხელს მოვაწერთ კონტრაქტს პროფესიულ ლიგაში მისი მონაწილეობის შესახებ.

...ლენინგრადში შინისკენ მიმავალმა რენდიმ გაიგო მიწისძვრის შესახებ. დღეისათვის ესოდენ საჭირო გულწრფელი თანაგრძნობისა და მეგობრობის სეტყვები გამოძებნა მან. — აუცილებლაო დავბრუნდები საქართველოში, — მიდეპეშა რენდიმ. — ბედნიერ შეხვედრამდე საქართველოს მშვენიერ მიწაზე!.

გენადი დემეტრაშვილი,
საქინფორმის კორ.

სერგო ედიშერაშვილისა (საქინფორმი) და **ალექსანდრე კოტორაშვილის** („ლელო“) ფოტოები.

მხოლოდ ტექნიკური შედეგები

საქართველოს 1991 წლის აბსოლუტური ჩემპიონატი დაბრკოლებათა გადალახვაში. ჭ. ფოთი.

უფროსი ახაკის ცხენებისათვის. რთული კლასი „ბ“: 1. დიმიტრი გაშიბაიაზოვი, 2. ხვიჩა ტუსიშვილი (ორივე — თბილისის საცხენოსნო ბაზა), 3. ზვიად ანჩაბაძე (გალი).

რთული კლასი „ა“: 1. გაშიბაიაზოვი, 2. მამია შონია (ზუგდიდი), 3. ანჩაბაძე.

საქართველოს თასი (ორ გიტად): 1. ტუსიშვილი, 2. ალექსანდრე ჭელიძე (თბილისი, განათლების რესპუბლიკური სპორტული სკოლა), 3. როინ ლაგვილავა. (ზუგდიდი).

აბსოლუტური ჩათვლა უფროსი ახაკის ცხენებისათვის სამი პარკურის ჯამში: 1. გაშიბაიაზოვი, 2. ტუსიშვილი, 3. შონია.

ახალგაზრდა ცხენებისათვის. რთული კლასი „ვ“: 1. ლაშა შანავა (წალენჯიხა), 2. შონია, 3. ზაზა გონჯილაშვილი (თბილისის საცხენოსნო ბაზა).

სამონადირო პარკური: 1. შანავა, 2. მერაბ სამუშია (ოჩამჩირე), 3. გოჩა ჯალაღონია (ფოთი).

საქართველოს თასი (ორ გიტად): 1. გონჯილაშვილი, 2. შანავა, 3. სამუშია.

აბსოლუტური ჩათვლა ახალგაზრდა ცხენებისათვის სამი პარკურის ჯამში: 1. შანავა, 2. გონჯილაშვილი, 3. სამუშია.

• ჩემპიონატში გამოდიოდნენ: თბილისის საცხენოსნო ბაზის, განათლების რესპუბლიკური სპორტული სკოლის, ზუგდიდის, წალენჯიხის, ოჩამჩირის, ფოთის, გალის, გულრიფშის წარმომადგენლები.

საქართველოს ჩემპიონატი მშვილდოსნობაში

იმედის ისრები

სიტყვას ვაძლევთ საქართველოს სპორტის დეპარტამენტის მთავარ მწვრთნელს მშვილდოსნობაში ლაშა მაკავანაძეს:

— მშვილდოსნობა სწორედ ის სახეობაა, სადაც ქართველი სპორტსმენები ყოველთვის წარმატებით გამოდიოდნენ საპასუხისმგებლო ტურნირებში. — გვითხრა მან — გავიხსენოთ თუნდაც ოლიმპიური ჩემპიონი ქეთევან ლოსაბერიძე. წლევანდელ ჩემპიონატში ორი ევროპის ჩემპიონი მონაწილეობდა — ხათუნა ქვრივიშვილი და ნატო ნასარიძე. მათ „დავაში“ ერთი ქულით გაიმარჯვა ხათუნა ქვრივიშვილმა. ვაჟებში არა გვყავს ასეთი მაღალი კლასის სპორტსმენები, მაგრამ არიან პერსპექტიული ახალგაზრდები, რომლებსაც ახლო მომავალში შეუძლიათ მიაღწიონ მაღალ საერთაშორისო დონეს. ჩვენი მთავარი პრობლემაა ვალუტა, ურომლისოდაც შეუძლებელია მაღალი ხარისხის იმპორტული ინვენტარის შეძენა. ვფიქრობ, ეს პრობლემაც მომავალში დადებითად გადაწყდება. წელს კიდევ მოგველის საინტერესო ტურნირები, ყველაზე საპასუხისმგებლოდ კი ვთვლით თურქეთის დიდ საერთაშორისო ტურნირს სექტემბერში და საქართველოს პირველ ეროვნულ თამაშებს.

ზურაბ ტაბატაძე

ტექნიკური შედეგები:

ბათუმი. ანგისას სპორტკომპლექსი. ქალები. ჩემპიონატი. „ფიტა-ს დიდი წრე“: 1. ხათუნა ქვრივიშვილი — 329 ქულა, 2. ნატო ნასარაძე — 328, 3. სულიკო თოფურია (ყველა — თბილისი), — 321. **გუნდურ პირველობაში** პირველ სამ ადგილზე თბილისელები გავიდნენ. **პირველობა. მ-1 ვარჯიშში:** 1. ქვრივიშვილი — 1321, 2. თოფურია —1238, 3. ასმათ დიასამიძე (აჭარა) — 1200. **ვაჟები. ჩემპიონატი:** 1. დავით ლეკვეიშვილი (თბილისი) — 313, თამაზ ბასილაძე (აჭარა) — 305, 3. ალექსი ქვრივიშვილი (თბილისი) — 293. **გუნდური:** 1. თბილისი-1, 2. თბილისი-2, 3. აჭარა. **პირველობა:** 1. ქვრივიშვილი — 1104, 2. შალვა გოძიშვილი — 1008, 3. არჩილ ონაშვილი (სამივე — თბილისი) — 977.

შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ 1973 და მომდევნო წლებში დაბადებული სპორტსმენები.

სპორტითაც დაინტერესდნენ

რუსთაველის საზოგადოებასთან არსებული სულიერი აღორძინებისა და ჰარმონიული განვითარების ასოციაცია ბოლო ხანს არაერთი საინტერესო ღონისძიების ინიციატორად მოგვევლინა. ამჯერად ასოციაციის ხელმძღვანელები სპორტითაც დაინტერესდნენ — კერძოდ, ასოციაციის ინიციატივით გიმართა საინტერესო ტურნირი სწრაფ ჭადრაკში, რომელშიც 18 მონაწილე სცდიდა ძალებს. ერთობ საინტერესო შეხვედრებს დაძაბულობას ისიც მატებდა, რომ პრიზიორთათვის საკმაოდ სოლიდური ფულადი ჯილდოები იყო დაწესებული. საბოლოოდ 12,5-12,5 ქულით I-II ადგილები გაიყვეს ნატო ეძგვერაძემ და ვიქტორ დუნდუამ. III-IV ადგილებზე, შესაბამისად, მიხეილ კეკელიძე და გიორგი უაჭეიშვილი გავიდნენ, რომლებიც გამარჯვებულებს თითო ქულით ჩამორჩნენ.

პრიზი — „ყველაზე ნორჩ მონაწილეს“ 9 წლის ნიკა გაბრიელოვს გადაეცა.

„ლელოს“ კორ.

სოხუმელ მოჭიდავეთა წარმატება

ლვოვში, ღია საყმაწვილო ტურნირზე ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში წარმატებით იასპარეზეს სოხუმის ბავშვთა და მოზარდთა კრების და ჭიდაობის სპორტული სკოლის აღსაზრდელებმა.

სოხუმელი მწვრთნელების: ზურაბ ლომიას, გია ესებუას და მალხაზ კუხიანიძის შეგირდებმა 10 საპრიზო ადგილი დაიკავეს.

შეჯიბრებაში ტოლი არ ჰყავდათ გიორგი ბერიძეს, ბაკურ ბულისკერიას, ალეკო მაკალათიას, პარმენ ჯალაღონიას და მურთაზ ნაჭყებიას, მეორე ადგილზე გავიდნენ მამუკა გაბუნია, ლევარსან ხაშბა, ჯონი გაბიძაშვილი; მესამეზე — ბოჩო კეკელია და ირაკლი სამუშია.

მათ გარდა ტურნირში იასპარეზეს ლიტვის, მოლდავეთის, უკრაინის და რუსეთის მოჭიდავეებმა.

თენგიზ ჯაბაკორია,
„ლელოს“ საკ. კორ.

სოხუმი.

საქართველოს თასის ღია გათამაშება ჩოგბურთში

მოწვეული სხვებიც იყვნენ

ასპარეზობა ჩვენი უძლიერესი სპორტსმენების — ლელა მესხის, ვლადიმერ გაბრიჩიძისა და დავით კაპარავას გარეშე .ჩატარდა, რადგანაც ისინი ამჟამად უცხოეთის სხვადასხვა ტურნირებში გამოდიან. ამ გარემოებამ ჩვენს ახალგაზრდა ჩოგბურთელებს შესაძლებლობათა სრულად გამოვლენის შანსი მისცა. მათ რამდენიმე სიურპრიზიც შესთავაზეს დამსწრეთ. ამ მხრივ, აღსანიშნავია 15 წლის თბილისელის სოსო სიამაშვილის გამოსვლა, რომელმაც რამდენიმე ძლიერი მეტოქე ჩამოიცილა „გზიდან“. მართალია, ერთეულთა თანრიგში იგი მხოლოდ მეოთხე ადგილზე გავიდა, მაგრამ წყვილებში ანატოლი ახალაძესთან ერთად იმარჯვა — ფინალურ შეხვედრაში მათ დაამარცხეს (6:2, 6:3, 6:4). დავით კვარაცხელიასა და დუდა კვიციანის წყვილი. ტურნირში მოსკოველი ჩოგბურთელებიც გამოდიოდნენ. ცხადია, მოწვეული სხვებიც იყვნენ.

ქალთა წყვილებში გაიმარჯვეს სტუმრებმა — მოსკოველებმა ოლგა ვლასოვამ და ანა ტარასოვამ. — ფინალში მოუგეს თეა მუჩაიძესა და მაია აბაშიძეს — 6:3, 6:4.

ერთეულთა თანრიგში საპრიზო ადგილებზე, როგორც ქალებში, ისე ვაჟებში, მხოლოდ თბილისელი ჩოგბურთელები გავიდნენ: ანა გასპარიანი („დინამო“), ლიკა ტამიროვა და მაია აბაშიძე (ორივე — „შევარდენი“); დავით კვარაცხელია („დინამო“), ირაკლი სვანიძე, და ანატოლი ახალაძე (ორივე — „შევარდენი“).

შეჯიბრებას სპონსორობას უწევდა კოოპერატივი „ჟენტავრი“ (თავმჯდომარე მ. ანდრონიკაშვილი), ოთელმაც სხვადასხვა პრიზებთან ერთად ფულადი ჯილდოები გამოყო. ეს თანხა საქართველოს თასის გათამაშების მონაწილეებმა მთლიანად გადარიცხეს ჩვენს რესპუბლიკაში მიწისძვრით დაზარალებულთა ფონდში.

რამინ ყურაშვილი

საქართველოს პროვინციული ჩემპიონატი ფეხბურთში

I ჯგუფი

საქართველო დატრიალებული სტიქიური უბედურების გამო, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის განკარგულებით, გადადებულია IX და X ტურების შეხვედრები. 13 მაისს გაიმართა XI ტურის შეხვედრები: „შუქურა“ (ქობულეთი) — „ეგრისი“ (სენაკი) — 5:0, „სქური“ (წალენჯიხა) — „ქართლი“ (გორის რ-ნი) 2:1, „მაღაროელი“ (ჭიათურა) — „იმერეთი“ (ხონი) 1:0, „საპოვნელა“ (თერჯოლა) — „სიხარული-90“ (გაგრა) 3:1, „სიონი“ (ბოლნისი) — „კახეთი“ (თელავი) 0:3, „არმაზი“ (მცხეთა) „მრეტები“ (თბილისი) 2:0, „ბატრიონი“ (ახმეტა) — „ოკრიბა“ (ტყიბული) 2:0, „სამეგრელო“ (ჩხოროწყუ) — საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი (თბილისი) 3:1, „დურუჯი“ (ყვარელი) — ფიზკ. ინსტიტუტი 3:1.

მინიფეხბურთი

„ჩიბათი“ და „არეში“ — უმაღლეს ლიგაში

რესპუბლიკაში მინიფეხბურთის პოპულარიზაციას, საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის ჩატარებას, მინიფეხბურთელთა ეროვნული ნაკრების დაკომპლექტებას ემსახურებოდა ლანჩხუთში ახლახან გამართული ექსპერიმენტული, უმაღლეს ლიგაში გადასასვლელი ტურნირი „გ“ ჯგუფის გუნდებს შორის, რომლის მოწყობა მინიფეხბურთის დამოუკიდებელმა ასოციაციამ ითავა.

წინასწარი ვარაუდით, შეჯიბრებაში 8 გუნდი უნდა ჩაბმულიყო, მაგრამ მიუხედავად რესპუბლიკის მინიფეხბურთის დამოუკიდებელი ასოციაციის მცდელობისა და მონდომებისა, ამ ტურნირზე ვერ ვიხილეთ ძლიერი გუნდები: სოხუმის „შუქურა“, ქუთაისის „აისი“, ხონის „ოკანე“ და თბილისის „მენედა“, რამაც, უდავოდ, დაღი დაარჩინა ასპარეზობას.

დანარჩენი 4 გუნდი კი კენჭისყრის შედეგად I ტურში ასე დაწყვილდა: შრომის „შრომა“ — ლანჩხუთის „ჩიბათი“, რუსთავის „არეში“ — თბილისის „მელიორატორი“.

„შრომასა“ და მასპინძელთა გუნდს „ჩიბათს“ შორის შეხვედრა ფრედ 5:5 დამთავრდა. რუსთაველთა გუნდმა კი დაძაბულ ბრძოლაში სძლია თბილისელთა ახალგაზრდულ კოლექტივს — 3:2.

II ტურის მატჩებიც დაძაბულობითა და სიმძაფრით გამოირჩეოდა. „შრომამ“ და „არეშმა“ ქულები გაიყვეს — 2:2, თბილისისა და „ჩიბათის“ გუნდების შეხვედრის ბედი კი მატჩის ბოლო წამებზე მასპინძელთა მიერ გატანილმა მესამე გოლმა გადაწყვიტა. 3:2 — ასე დამთავრდა ეს დაძაბული ასპარეზობა.

ყველაფერი III ტურში გადაწყდა. თბილისელებმა „შრომასთან“ ფრედ დაასრულეს თამაში — 2:2, ხოლო „არეშისა“ და „ჩიბათის“ შეხვედრა უხვგოლიანი კი გამოდგა, მაგრამ ისიც ფრედ — 8:8 — დასრულდა.

საბოლოოდ გუნდები ასე განაწილდნენ:

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„ჩიბათი“	3	1	2	0	16-15	3
„არეში“	3	1	2	0	13-12	3
„შრომა“	3	0	3	0	9-9	3
„მელიორატორი“	3	0	1	2	6-8	1

გატანილი და მიღებული ბურთების უკეთესი სხვაობით „ჩიბათმა“ I ადგილი დაიკავა. ამრიგად, „ჩიბათი“ და „არეში“ უმაღლეს ლიგაში იასპარეზებენ.

გოჩა ვასაძე

ბ. ჭელიძის პრიზზე

35-ე სპეციალიზებული საფეხბურთო სკოლის კოლექტივის თაოსნობით გაიმართა საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის ბ. ჭელიძის ხსოვნისადმი მიძღვნილი ჭაბუკთა ტრადიციული ტურნირი. მონაწილეობდნენ: 35-ე სკოლის, ლიტვის, გორის, კასპის და ფოთის ჭაბუკთა გუნდები.

შეჯიბრება ორ ასაკობრივ ჯგუფში ჩატარდა. 1978 წელს დაბადებულთა შორის გაიმარჯვეს 35-ე სკოლის გუნდის „მამული-35-ის“ ფეხბურთელებმა (მწვრთნელი ს. სირაძე). ერთი წლით უმცროსებშიც 35-ე სკოლის გუნდმა იმარჯვა (მწვრთნელი თ. თვალჭრელიძე), რომელმაც გადამწყვეტ მატჩში დაამარცხა ლიტვის „ოლიმპასი“ — 2:1.

შემდეგ პრიზიორთა შორის მოეწყო სუპერფინალური შეხვედრები. აქ თავი ისახელა „მამული-35“-მა. მეორე იყო ასევე 35-ე სკოლის გუნდი. მესამე ადგილი გორის „ორბმა“ დაიკავა. ტურნირის ბომბარდირი 13 გატანილი ბურთით გახდა დ. პეტრიაშვილი.

ასპარეზობის მოწყობის თაოსნებს მხარში ამოუდგა საქართველოში ახლახან ჩამოყალიბებული „სამპდორიის“ გულშემატკივართა კლუბი (პრეზიდენტი ლევან ახვლედიანი), რომელმაც ტურნირის ორგანიზაცია და მსაჯთა კორპუსის დაფინანსება ითავა.

გულშემატკივართა კლუბ „სამპდორიასა“ და 35-ე სკოლის ხელმძღვანელთა შორის დაიდო თანამშრომლობის ხელშეკრულება, რომელიც, იმედია, ხელს შეუწყობს ჩვენი ჭაბუკი ფეხბურთელების დაახლოებას უცხოელ თანატოლებთან, მათ შემდგომ დაოსტატებას.

მიხეილ საბახტარიშვილი,
„სამპდორიის“ გულშემატკივართა კლუბის წევრი.

ორი „კ“-ს ბატონობის დასასრული?

მართლაცდა თავისებური სიტუაცია იყო შექმნილი ამ ბოლო წლებში ჰადრაკის სამყაროში. თუ მსოფლიო ჩემპიონი გარი კასპაროვი ტურნირში მონაწილეობდა, ეს იმას ნიშნავდა, რომ იგი აუცილებლად უნდა გამოსულიყო პირველ ადგილზე. თუ ჩემპიონი შეჯიბრებაში არ თამაშობდა და მის ნაცვლად მონაწილეობდა მსოფლიო ექს-ჩემპიონი ანატოლი კარპოვი, ახლა ის ეუფლებოდა პირველ პრიზს. იყო ისეთი ასპარეზობებიც, სადაც ერთიც იბრძოდა და მეორეც. ასეთ შემთხვევებში კასპაროვი პირველ ადგილზე გამოდიოდა, კარპოვი კი მეორეზე, სხვები, უხეშად რომ ვთქვათ, სტატისტების როლს ასრულებდნენ.

ორი „კ“-ს ესოდენ გაჭიანურებული ბატონობა ჰადრაკის სამყაროს კარგს არაფერს უქადდა. ჩვენ, უპირველეს ყოვლისა, იმას ვგულისხმობთ, რომ ასეთი ვითარება გულს უცრუებდა ჰადრაკის ქომაგებს, აცილებდა შეჯიბრებებისადმი ინტერესს. მართლაცდა, როგორ გნებავთ „გული დაუდოთ“ ტურნირს, სადაც ყველაფერი წინასწარ გადაწყვეტილია?

წლეულს მდგომარეობა აშკარად იცვლება. თებერვალ-მარტში ლინარესში (ესპანეთი) 14 უძლიერესი დიდოსტატის მეჩვიდმეტე კატეგორიის ტურნირში კასპაროვი „მხოლოდ“ მეორე ადგილზე გავდა (გაიმარჯვა ვასილი ივანჩუკმა). თუ გავითვალისწინებთ ძველთაძველ ტრადიციას, რომელიც ჩემპიონს მარცხად უთვლის ყველა ადგილს, პირველის გარდა, კასპაროვის ამ შედეგმა ექსპერტების საყოველთაო ყურადღება მიიქცია. ამ შედეგს ძირითადად იმით ხსნიდნენ, რომ ჩემპიონმა ვერ შეძლო ძალების მთლიანად აღდგენა მსოფლიო პირველობაზე ხანგრძლივი, მომქანცველი მატჩის შემდეგ. დაახლოებით იგივე ითქვა კარპოვის შესახებ, თუმცა მან თავისი სპორტული კარიერის მანძილზე მართლაც ყველაზე დიდი სატურნირო მარცხი იგემა — ქულათა მხოლოდ 50 პროცენტი მოაგროვა.

იყო ასეთი აზრიც — ნუ ვიჩქარებთ, „ერთი ალილუია მღვდელსაც შეეშლებაო“, ამიტომ დიდი ინტერესით ელოდნენ კასპაროვისა და კარპოვის ახალ ერთობლივ სატურნირო გამოსვლას, ამჯერად მაქს ეივეს მემორიალზე, ამსტერდამში. უნდა ითქვას, რომ მან მეტად ძლიერი შემადგენლობას მოუყარა თავი. ჩემპიონისა და ექს-ჩემპიონის გარდა, თამაშობდნენ მსოფლიო ჩემპიონობის პრეტენდენტები: იან ტიმანი (ჰოლანდია), ნიჯელ შორტი (ინგლისი), გამოჩენილი დიდოსტატები — ვალერი სალოვი (საბჭოთა კავშირი), მიხეილ გურევიჩი (იგი ახლა ბელგიის სახელით გამოდის), ვიქტორ კორჩნოი (შვეიცარია), ლიუბომირ ლიუბოევიჩი (იუგოსლავია), იოჰან ჰიარტარსონი (ისლანდია) და ჯონ ვან დერ ვილი (ჰოლანდია).

ეს შეჯიბრება, თუმცა იგი სპრინტერულ ხასიათს ატარებდა, ზოგი სპეციალისტის აზრით, შორს მიმავალი დასკვნების გამოტანის საშუალებას არ იძლეოდა. ერთი რამ მაინც იპყრობდა ყურადღებას — კასპაროვი არც ერთ მომენტში პირველი ადგილისათვის ბრძოლაში არ მონაწილეობდა. ეს კი მართლაც მეტად უჩვეულო ამბავია. თავად განსაჯეთ — ტურნირში, სადაც სულ 9 შეხვედრა იყო, კასპაროვმა პირველი 6 პარტია ყაიმით დაამთავრა. ამ მომენტისათვის ლიდერ შორტს უკვე 4,5 ქულა ჰქონდა. მართალია, ბოლო სამი პარტიიდან კასპაროვმა ორი მოიგო (კორჩნოისა და ლიუბოევიჩთან), ერთი კი ყაიმით დაამთავრა, მაგრამ საბოლოოდ მოგროვილი 5,5 ქულა მხოლოდ მესამე-მეოთხე ადგილების გასაყოფად აღმოჩნდა საკმარისი. ეს ადგილები კი კასპაროვმა სწორედ თავის ისტორიულ მეტოქე კარპოვთან გაიყო, რომელმაც ასევე ორი პარტია მოიგო (ტიმანსა და ვან დერ ვილთან), 7 კი ყაიმით დაასრულა. ისიც საინტერესოა, რომ კასპაროვი და კარპოვი თავიანთი პრაქტიკის მანძილზე 157-ჯერ შეხვდნენ ერთმანეთს, საერთო ანგარიშით კი კასპაროვი სამი ქულით არის წინ.

ჩემპიონმა და ექსჩემპიონმა ამსტერდამში პირველი და მეორე ადგილები დაუთმეს შორტსა და სალოვს, რომელთაც 6-6 ქულა მოაგროვეს. რა შეიძლება ითქვას გამარჯვებულთა შესახებ? შორტს, თუ თამაში გამოუვიდა, ნებისმიერ ტურნირში შეუძლია წარმატებით გამოსვლა, მაგრამ არაერთი მარცხიც ახსოვს. მისი ახლანდელი საბრძოლო მზადყოფნა უდავოდ მაღალია. ამას თუნდაც ის გარემოება მიგვანიშნებს, რომ შორტმა უკვე წარმატებით დასძლია პრეტენდენტთა ასპარეზობის უფრო კომბინაციურ ტიპთან (სპილმენი დაამარცხა), აგვისტოში კი პრეტენდენტთა მეოთხედფინალურ მატჩში ბორის გელფანდს უნდა შეხვედეს. რაც შეეხება სალოვს, მას ადრე მშვენიერი მიღწევები ჰქონდა, მაგრამ შემდეგ სერიოზულად დაავადდა და სწორედ ამის გამო ვერ მოიპოვა პრეტენდენტების შეჯიბრებაში გამოსვლის უფლება. ახლა სალოვი, როგორც ვხედავთ, საკუთარ ძალებს ნამდვილად გამოჯანმრთელდა და მთელი თავისი სპორტული კარიერის მანძილზე უდავოდ უმნიშვნელოვანეს წარმატებას მიაღწია.

მაშ ასე, ჯერ ივანჩუკმა, ახლა კი შორტმა და სალოვმაც, დაამტკიცეს, რომ შეუძლიათ კასპაროვსა და კარპოვთან ბრძოლა. ეს მნიშვნელოვანწილად ცვლის სიტუაციას საჰადრაკო სამყაროში. კასპაროვის ახალ, ნაწილობრივ მარცხს ზოგი იმით ხსნის, რომ ბოლო ხანებში მას ჰადრაკისათვის არ ეცალა. კასპაროვი ხომ რუსეთის დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთი ფრაქციის ლიდერი იყო და ებრძოდა ამ პარტიის თავმჯდომარეს ნიკოლაი ტრავკინს. ეს ბრძოლა დასრულდა კასპაროვის დამარცხებით და პარტიიდან... მისი გასვლით. ამასთან, ყოველივე ეს ამსტერდამის ტურნირის წინ მოხდა და სრულიადაც არ უწყობდა ხელს ამ უძლიერესი ტურნირისათვის მზადებას. რაც შეეხება კარპოვის წარმატებების დაქვეითებას, ამას ზოგი ასაკით ხსნის (რაც ნაკლებ დამაჯერებელია), ზოგი კი იმით, რომ ექსჩემპიონი განუწყვეტლივ თამაშობს და ამდენად, ეტყობა ჰადრაკით მოყირჭება. საბოლოო პასუხს ამ კითხვაზე, ალბათ, კარპოვის შემდგომი გამოსვლები გაგვცემენ პრეტენდენტთა ასპარეზობაში.

კასპაროვს, როგორც ცნობილია, უსიამოვნება მოუვიდა დიდოსტატების მსოფლიო ასოციაციის მესვეურებთან. მან უარი განაცხადა ამ ორგანიზაციის პრეზიდენტის პოსტზე და ბოლო მომენტამდე „მსოფლიოს თასზე“ შეჯიბრებაში მონაწილეობასაც კი უარობდა. უკანასკნელი ცნობებით, კასპაროვმა მაინც გადაწყვიტა ითამაშოს ამ შეჯიბრებაში, რომელიც შემოდგომაზე იწყება და მასში ჩვენი ცნობილი დიდოსტატი ხურამ აზმაიფარაშვილიც მონაწილეობს.

ბიძი თორელი

საორგანიზაციო კომიტეტი მოქმედებს

1994 წლის მსოფლიოს საფეხბურთო ჩემპიონატი ამერიკის შეერთებულ შტატებში დაიწყება 10 ან 17 ივნისს და მოეწყობა ბოლო ორი მსოფლიო ჩემპიონატის მსგავსად. ამის შესახებ ცნობა გამოჩნდა ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის კომუნიკეში.

ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციისა და მსოფლიო ჩემპიონატის საორგანიზაციო კომიტეტის წარმომადგენელთა შეთანხმებით, მომავალ გათამაშებაში სავარაუდოა რამდენიმე სიახლე. კერძოდ, ფეხბურთელთა მაისურებზე დაიწერება გვარები, რაც საქმეს გაუადვილებს

მაყურებლებსაც და ჟურნალისტებსაც. გვარი დაიწერება მაისურის ზურგზე, ხოლო ნომერი — მკერდზე.

თამაშის დროს მწვრთნელებს უფლება ეძლევათ ფეხბურთელები შეცვალონ დარჩენილი 11 ოთამაშის სიიდან და არა 5 სათადარიგოდან, როგორც ეს უწინ იყო. უმცა, ეს გადაწყვეტილება ჯერჯერობით საბოლოო არ არის. ამის თაობაზე ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაცია დამატებით იმსჯელებს 13 ივნისს ლისაბონში. ამავე სხდომაზე განიხილავენ საკითხს იმის შესახებ, რომ ფინალური შეხვედრის შემდეგ მატჩის შემდგომი 11-მეტრიანები შეიცვალოს გადათამაშებით. ჯერჯერობით მხოლოდ ისაა ცნობილი, რომ ფიფა-ს გადათამაშება არ სურს და კვლავინდებურად დამატებითი 11-მეტრიანების მომხრეა.

რა ისმის უცხოეთიდან?

● ევროპის საფეხბურთო ჩემპიონატები.

● „ბარსელონა“ აგებს და... ჩემპიონი ხდება.

34-ე ტურში ესპანეთის ჩემპიონატის ლიდერმა „ბარსელონამ“ სტუმრად წააგო „კადისთან“ მისთვის უჩვეულოდ დიდი ანგარიშით — 0:4 და ...ჩემპიონის ტიტული გაინაღდა. ეს მოხდა მას შემდეგ, რაც „ბარსელონას“ უახლოესი მდევარი მადრიდის „ატლეტიკო“ დამარცხდა სან-სებასტიანში — 1:2. ჩემპიონატის დარჩენილ ოთხ მატჩს ბარსელონას ფეხბურთელთათვის მხოლოდ პრესტიჟული მნიშვნელობა ექნება.

ნელ-ნელა იბრუნებს დაკარგულ პოზიციებს მადრიდის „რეალი“, რომელიც თავისი ქვეყნის ჩემპიონის ტიტულს 25-ჯერ ფლობდა, წლევანდელ გათამაშებაში კი ერთობ უთანაბროდ გამოდიოდა. მადრიდის „რეალმა“ გასულ შაბათს, შინ ბილბაოს „ატლეტიკს“ აჯობა — 4:1.

გთავაზობთ ტურის სხვა შედეგებს:

„ოვიედო“ — „ოსასუნა“ 0:0.
„ლოგრონიესი“ — „სპორტინგი“ 1:2.
„მალიორკა“ — „სევილია“ 1:1.
„სარაგოსა“ — „კასტელონი“ 2:0
„ესპანიოლი“ — „ტენერიფე“ 1:0
„ვალენსია“ — „ვალიადოლიდი“ 2:0.
„ბეტისი“ — „ბურგოსი“ 0:0.

გათამაშების ცხრილი

	მ.	ფ.	წ.	ქ.
„ბარსელონა“	24	6	4	54
„ატლეტ.“ (მადრიდი)	16	13	5	45
„ოსასუნა“	13	14	7	40
„რეალი“ (მადრიდი)	17	5	12	39
„სპორტინგი“	14	11	9	39
„სევილია“	14	8	12	36
„ოვიედო“	11	14	9	36
„ვალენსია“	13	9	12	35
„ლოგრონიესი“	12	10	12	34
„ატლეტ.“ (ბილბაო)	14	5	15	33
„ბურგოსი“	9	15	10	33
„ვალიადოლიდი“	10	12	12	32
„სან-სებასტიანი“	10	12	12	32
„ტენერიფე“	13	5	16	31
„ესპანიოლი“	11	9	14	31
„მალიორკა“	9	12	13	30
„სარაგოსა“	10	9	15	29
„კასტელონი“	7	10	17	24
„კადისი“	5	14	15	24
„ბეტისი“	4	15	15	23

ვან ბასტენის სამი გოლი

იტალიის საფეხბურთო ჩემპიონატის დამთავრებას ორი ტურიღა აკლია. 32-ე ტურის შედეგებმა ლიდერის — „სამპდორიას“ მდგომარეობა კიდევ უფრო განამტკიცა — მან სტუმრად ტურინში ფრეს (1:1) მიაღწია. ლიდერს სამი ქულით ჩამორჩება „მილანი“, რომელმაც ბოლო შეხვედრაში გაანადგურა „ბოლონია“ — 6:0. ამ დღეს ვან ბასტენმა მეტოქის კარში სამი ბურთი გაიტანა.

„ინტერი“, როგორც ჩანს, შეეგუა აზრს, რომ ბრინჯაოს მედლებიღა „შეხვდება“ და ახლა მთელ ყურადღებას უეფა-ს თასის ფინალს უთმობს, სადაც მისი მეტოქე „რომა“ გახლავთ. ამით თუ აიხსნება ის, რომ გათამაშების ერთ-ერთმა ლიდერმა, ფაქტობრივად, უბრძოლველად დათმო პრინციპული ბრძოლა „ჯენოვასთან“ — 0:3.

სხვა მატჩები:
„კალიარი“ — „რომა“ 0:0.
„ჩეზენა“ — „ატალანტა“ 0:1.
„ლაციო“ — „ფიორენტინა“ 2:1.
„ლეჩე“ — „პარმა“ 1:0.
„ნაპოლი“ — „იუვენტუსი“ 1:1.
„პიზა“ — „ბარი“ 1:0.

გათამაშების ცხრილი

	მ.	ფ.	წ.	ქ.
„სამპდორია“	19	10	3	48
„მილანი“	18	9	5	45
„ინტერი“	16	10	6	42
„ჯენოვა“	13	11	8	37
„ტორინო“	12	12	8	36
„პარმა“	12	11	9	35
„იუვენტუსი“	12	11	9	35
„ნაპოლი“	11	13	8	35
„ლაციო“	8	18	6	34
„რომა“	10	13	9	33
„ატალანტა“	11	11	10	33
„ფიორენტინა“	7	14	11	28
„ბარი“	8	11	13	27
„კალიარი“	5	16	11	26
„ლეჩე“	6	13	13	25
„პიზა“	8	6	18	22
„ჩეზენა“	5	9	18	19
„ბოლონია“	4	10	18	18

● **ბერმანიის** ეროვნული თასის გათამაშების ფინალში 22 ივნისს ბერლინში ერთმანეთს შეხვდებიან „ვერდერი“ და „კიოლნი“. ნახევარფინალებში „კიოლნმა“ სტუმრად ფრედ ითამაშა „დიუსბურგთან“ (II დივიზიონი) — 0:0, შინ კი გაიმარჯვა ანგარიშით 3:0. „აინტრაჰტისა“ და „ვერდერის“ შეხვედრაში პირველი მატჩი მაინის ფრანკფურტში ფრედ დამთავრდა — 2:2, განმეორებით შეხვედრაში გაიმარჯვეს ბრემენელებმა — 6:3.

● **ლოს-ანჯელესი.** აქ გაიმართა ამხანაგური საერთაშორისო მატჩი ურუგვაისა და მექსიკის ფეხბურთელთა შორის. ქალაქის ოლიმპიურ სტადიონზე თამაშს დაესწრო 10 ათასი მაყურებელი. გაიმარჯვეს ურუგვაელებმა — 2:0, ბურთები გაიტანეს ლოპესმა და პერეირამ.

ავტოგრაფები ტაბლოზე

ევროპის 55-ე ჩემპიონატი ბერძნულ-რომაულ (კლასიკურ) ჭიდაობაში, აშაფენბურგი (გერმანია), 26-28 აპრილი.

48 კგ: 1. ჟ. ფრადო (უნგრეთი), 2. ს. სუვოროვი (სსრკ), 3. ნ. პელიკიანი (ბულგარეთი).

52 კგ: 1. ბ. ცენოვი (ბულგარეთი), 2. დ. ვასაკოვსკი (პოლონეთი), 3. ჯ. ტერ-მკრტიჩიანი (სსრკ).

57 კგ: 1. ა. იგნატენკო (სსრკ), 2. მ. სანდუ (რუმინეთი), 3. რ. იულდუსი (გერმანია).

62 კგ: 1. ვ. ზადავსკი (პოლონეთი), 2. მ. ბიუტნერი (გერმანია), 3. გ. ატმაკინი (სსრკ).

68 კგ. 1. კ. მაჯიდოვი (სსრკ), 2. მ. კორნბაკი (შვეიცია), 3. ა. რეპკა (უნგრეთი).

74 კგ. 1. მ. ისკანდარიანი (სსრკ), 2. ტ. კარილა (ფინეთი), 3. ტ. კონბაკი (შვეიცია).

82 კგ. 1. პ. ფარკაში (უნგრეთი), 2. ტ. ტრენტა (ჩეხოსლოვაკია), 3. ზანდერი (გერმანია).

90 კგ. 1. პ. პოტაპოვი (სსრკ), 2. ი. იორდანოვი (ბულგარეთი), 3. ტ. კომარომი (უნგრეთი).

100 კგ. 1. ს. დემიაშკევიჩი (სსრკ), 2. ა. შტაინბახი (ისრაელი), 3. ს. ბიორი (უნგრეთი).

130 კგ. 1. ა. კარელინი (სსრკ), 2. ტ. იუჰანსონი (შვეიცია), 3. გ. ბაკში (უნგრეთი).

ტყვია ასცდა და... იმავე დღეს გაიმარჯვა

ცხენებს, ისევე როგორც ადამიანებს, თავიანთი, ერთმანეთისგან განსხვავებული სვე აქვთ — ზოგს ბედნიერი, ზოგს ტრაგიკული... უჟანასკნელთა რიცხვს მიეკუთვნება ფარ ლაპი, 30-იანი წლების ერთ-ერთი საუკეთესო ბედაური.

ფარ ლაპი დაიბადა 1926 წლის 26 ოქტომბერს ახალ ზელანდიაში, სიდაუნის ცხენსაშენში. მისი მშობლები — ნაიტ რეიდი და ინტრიტა არავითარი გამორჩეული თვისებებით არ იყვნენ დაჯილდოებულნი და ამიტომ, 1928 წლის იანვარში ჯამართულ აუქციონზე, მწვრთნელმა ტელფორდმა დიდი გაჭირვებით დაიყოლია ცხენის მომავალი პატრონი დევისი 160 გინეად შეეძინა შეუხედავი, წაბლა კვიცი, ავსტრალიაში ჩამოყვანილი ფარ ლაპი კი 3 წლით იქირავა მეპატრონისგან და დაიწყო მისი მომზადება.

ფარ ლაპის სარბოლო კარიერა წარუმატებლად დაიწყო — მან პირველივე 9 რბოლა წააგო. შემდეგ იგი ნელ-ნელა „მოყოჩაღდა“ და სპეციალისტების ყურადღებაც მიიქცია. პირველ დიდ გამარჯვებას მან სამი წლის ასაკში მიაღწია, როდესაც მოიგო კლასიკური დოღები სიდნეისა და მელბურნში, ავსტრალიის „ოქროვი კლუბის პრიზი“ (დერბი), ვიქტორია დერბი... შემდეგ მესამე ადგილი დაიკავა ავსტრალიის ყველაზე პრესტიჟულ დოღში — მელბურნის ორმილიან ჰანდიკაპში. ამის შემდეგ, იმ სეზონში, მას არც ერთი დოღი არ წაუგია.

ოთხი წლის ასაკში ფარ ლაპმა დამთმო სეზონის მხოლოდ პირველი და ბოლო დოღები. მათ შორის კი 14-ჯერ გაიმარჯვა. ყველაზე მნიშვნელოვანი იყო მელბურნის თასის გათამაშება. ამ, ყველაზე გამორჩეული, გამარჯვების წინ მოხდა შემთხვევა, რომელმაც შემდგომში გარკვეულ დასკვნებამდე მიიყვანა ცხენოსნობის სპეციალისტები და ამ დარგში მომუშავე ჟურნალისტები.

საქმე ისაა, რომ მელბურნის თასის გათამაშების წინა დღეებში ფარ ლაპს, რომელიც დილის ვარჯიშის შემდეგ მიჰყავდათ თავლაში, ესროლეს. ფიქრობენ, რომ ამ საქმეში ბუკმეკერების ხელი ერია. საბედნიეროდ, ტყვია ასცდა ცხენს და ფარ ლაპმა იმ დღესვე მოიგო „მელბურნ სტეიქსის“ პრიზი.

ამავე სეზონში ფარ ლაპმა მთელი რიგი ბრწყინვალე გამარჯვებები მოიპოვა. იგი დიდი უპირატესობით უგებდა იმ დროისთვის ისეთ ცნობილ ბედაურებს, როგორებიც იყვნენ ამუნი და ნაიტ მარში.

1931 წელს ამოიწურა მწვრთნელის მიერ ცხენის 3-წლიანი დაქირავების ვადა, მაგრამ, ზედავდა რა ფარ ლაპის უდავო წარმატებებს, მისმა მფლობელმა, დევისმა, ტელფორდს მიჰყიდა ცხენის ფლობის უფლების ნახევარი.

1931 წლის სეზონი ფარ ლაპმა ჩრდილოეთ ამერიკაში „აგუა გალიენტე ჰანდიკაპში“ მონაწილეობის მისაღებად. ეს იყო ყველაზე ძვირადღირებული დოღი მსოფლიოში.



კალიფორნიაში ჩაყვანის შემდეგ ფარ ლაპი გადაიყვანეს გალიენტეს იპოდრომზე, მექსიკაში, ამერიკის შეერთებული შტატების საზღვრის მახლობლად.

დოღის გათამაშებამდე ცოტა ხნით ადრე, ცნობილი გახდა, თუმ ბრეზის ღირებულება განახევრდა. ამასთან, ვარჯიშისას, ფარ ლაპმა იტკინა ჩლიქი და გაჩნდა იმის საშიშროება, რომ იგი ვერ მიიღებდა მონაწილეობას დოღში. მაგრამ ეს ვარაუდი არ გამართლდა, ფარ ლაპმა მოიგო დოღი სარეკორდო დროში და დაამტკიცა, რომ იგი იყო საუკეთესო წმინდასისხლიანი ბედაური, რომელიც მანამდე უნახავთ ჩრდილოეთ ამერიკაში.

როგორც შემდგომში აღმოჩნდა, ეს იყო ფარ ლაპის ბოლო დოღი. იგი გადაიყვანეს სან-ფრანცისკოში, მენლოუ-პარკში. მალე ცხენს შეამჩნიეს ავადმყოფობის ნიშნები, დაუდგინეს დიაგნოზიც — კუჭის გაგანიერება. მკურნალობამ შედეგი არ გამოიღო, ფარ ლაპი იმავე დღის ბოლოს დაიღუპა.

ამ ცნობამ ავსტრალიაში დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია. გავრცელდა ჭორებიც. ოფიციალურ განცხადებაში ეწერა, რომ ფარ ლაპმა შეჭამა დარიშხანით დამუშავებული ბალახი. ვეტექიმის დასკვნაც ბუნდოვანი და არადამაჯერებელი იყო. სწორედ ამიტომ სპეციალისტებსა და გულშემატკივრებს შორის, რომელთაც ახსოვდათ ფარ ლაპზე ადრე მოწყობილი თავდასხმა, დამკვიდრდა აზრი, რომ ეს საუკეთესო ბედაური გახდა დაინტერესებულ პირთა შეთქმულების მსხვერპლი და იგი მოწამლეს.

თავისი ხანმოკლე, მაგრამ დაძაბული სპორტული კარიერის მანძილზე ფარ ლაპმა 51 დოღში მიიღო მონაწილეობა და 37-ში გაიმარჯვა.

დაბოლოს, აღსანიშნავია, რომ ფარ ლაპის ფიტული ინახება სიდნეის მუზეუმში, ჩონჩხი კი ახალი ზელანდიის დედაქალაქის, ველინგტონის ეროვნულ მუზეუმშია დაცული.

გიორგი ჟორჟია



მარად ჩვენთან დარჩება

ქართული წყალბურთის დიდი გამარჯვებების უშუალო მონაწილე, სამოციანი წლების თბილისის „დინამოსა“ და ეროვნული ნაკრები გუნდის გამორჩეული მებრძოლი-წყვარი ვასილ სანაძე აღარა გვყავს. დიახ, მებრძოლი, წყალბურთზე ფანატიკურად შეყვარებული, შრომისმოყვარეობისა და დისციპლინის ნიმუში — სპორტსმენი, წყალბურთელი!

ჯერ კიდევ ყრმობის ასაკში იმდროინდელი ქართული ცურვის სკოლისათვის წარმოუდგენელ წარმატებას მიაღწია: ორჯერ დაამყარა საკავშირო რეკორდი ყველაზე ძნელ სანეობაში — ბატერფლაის სტილით ცურვაში. ამის შემდეგ, 16 წლის ვასიკომ ფაქტიურად ერთ წელიწადში ერინიანი ბუნების წყალობით და წყალბურთის დიდი სიყვარულით შეძლო საქართველოს მოსწავლეთა ნაკრებში, ხოლო კიდევ ერთი წლის შემდეგ თბილისის „დინამოს“ ოსტატ წყალბურთელთა გუნდში დაემკვიდრებინა ადგილი... იმ ბედნიერი დღიდან, დღევანდელ უბედურებამდე ვასო სანაძის სპორტულმა და პიროვნულმა ცხოვრებამ ჩვენს თვალწინ ჩაიარა... მისი სპორტული გამარჯვებების უბრალო ჩამოთვლაც კი ნათელ წარმოდგენას მისცემს მკითხველს: საბჭოთა კავშირის ჩემპიონატებისა და ხალხთა სპარტაკიადების ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლების მრავალგზის მფლობელი, საბჭოთა კავშირის ჩემპიონატში გამარჯვებული, მრავალი საერთაშორისო ტურნირის არაერთგზის პრიზიორი... ამავე პერიოდში საკავშირო ნაკრების წევრი, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი და საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი წყალბურთში... აი, არასრული ნუსხა ვასო სანაძის სპორტული მიღწევებისა.

ვასიკოს იმდენად უყვარდა წყალბურთი, რომ მას შემდეგ, რაც თამაშს თავი გაანება, მიუზიდავად სხვა წინადადებებისა (შესანიშნავად ფლობდა გერმანულ ენას — სწავლობდა უცხო ენათა ინსტიტუტში), თავის საყვარელ გუნდში დარჩა — უფროს მწვრთნელად დაიწყო მუშაობა და არაერთი მაღალი კლასის წყალბურთელი გაუზარდა სამშობლოს. მეტიც, ბოლო წლებში ქართული წყალბურთის ყველაზე დიდი წარმატება — ხალხთა სპარტაკიადაზე მოპოვებული ვერცხლის მედალი ჩვენი ვასოს უპირველესი დამსახურება იყო.

ვასიკოს პიროვნება, მისი თვისებები, ოჯახური ურთიერთობაში განსაკუთრებით სხვა ღირადობას იძენდა, თავის დაიკოსთან ერთად, უმამოდ გაზრდილს, დედაც უდროოდ გარდაეცვალა... ალბათ, ამიტომაც უზომოდ, გამორჩეულად უყვარდა თავისი ერთადერთი ღირსეული ვაჟი — ირაკლი, რომელიც ყმაწვილობაში მამის კვალს გაჰყვა... მეუღლე, რომელიც ვასიკოს მძიმე ავადმყოფობის დაწყებიდან, უკანასკნელ ამოსუნთქვამდე გვერდიდან არ მოსცილებია...

ჩვენო ძმაო! სიცოცხლე ძალიან გიყვარდა და ორმოცდაათსაც ვერ მიაღწიე, მაგრამ შენს მიერ განვლილ სპორტული ცხოვრების წლებს წყალბურთელთა მომავალი თაობები გაახანგრძლივებენ, შენ მათთვის მუდამ მაგალითი იქნები!

ჩვენთვის კი... ჩვენს მეხსიერებაში მუდამ დარჩება ანტიკური ქანდაკების მსგავსად ჩამოსხმული შენი სხეული და შენი მებრძოლი სული!

ვეტერანი წყალბურთელები

„სპორტპროგნოზი“

მე-19 ტირაჟის შედეგები (12 მაისი)

1—1, 2—1, 3—1, 4—X, 5—1, 6—X, 7—X, 8—1, 9—2, 10—X, 11—1, 12—1, 13—1.

შენიშვნა: პირველი ციფრი წყვილის ნომერს აღნიშნავს, მეორე — შედეგს.

რედაქტორი
თენგიზ გაჩეჩილაძე

ნარდის მოყვარულთა საყურადღებოდ!

ა. წ. 5-9 ივნისს თბილისში გაიმართება საქართველოში სპორტული ნარდის დანერგვის ინიციატორის და სულისჩამდგმელის კომერციული ფირმა „ვესტას“ ტურნირი — „ვესტას“ დიდ პრიზზე.

ტურნირში მონაწილეებს შეუძლიათ რეგისტრაცია გაიარონ 20.05-01.06 თბილისში ახალგაზრდა მეცნიერთა კლუბში, კოსტავას 34, ყოველდღე, კვირის გარდა, 11 საათიდან 14 საათამდე.

პარალელურად „ლელოს“ პრიზზე ჩატარდება 60 წელს გადაცილებულ ქალთა ტურნირი. რეგისტრაცია იქვე.

ქუთაისის საფეხბურთო კლუბი „ქუთაისი“ და საქართველოს ვეტერან ფეხბურთელთა კავშირი იუწყებიან, რომ ტრაგიკულად დაიღუპა ცნობილი ფეხბურთელი

ჯემალ ხილაბაძე

და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს ფიზიკური კულტურის ინსტიტუტი აცხადებს კონკურსს შემდეგი თანამდებობების დასაკავებლად:

ფიზკულტურის მართვის ორგანიზაციის კათედრაზე
კათედრის დოცენტი — 1 ერთეული
სპორტული მედიცინის კათედრაზე
კათედრის დოცენტი — 1 ერთეული (სამკურნალო ფიზკულტურის სპეციალობით).
ტანვარჯიშის კათედრაზე
კათედრის დოცენტი — 1 ერთეული (მეცნიერების კანდიდატი)
მძლეოსნობის კათედრაზე
კათედრის მასწავლებელი — 1 ერთეული.
ხაწყლოსნო სპორტის კათედრაზე
კათედრის უფროსი მასწავლებელი —1 ერთეული (ცურვის სპეციალობა)
ხათხილამურო სპორტის კათედრაზე
კათედრის უფროსი მასწავლებელი — 1 ერთეული
ჭიდაობის, ძალოსნობისა და კრივის კათედრაზე
კათედრის უფროსი მასწავლებელი — 1 ერთეული (კრივის სპეციალობა).
კონკურსის ვადაა ერთი თვე დღიდან გამოცხადებისა.
მისამართი: თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. 49. ტელ. 23-09-02.

ლატარია „სპორტლოტო 5-36“ მონაწილეთა საყურადღებოდ!

1991 წლის 9 ივნისს, ძირითად, 23-ე ტირაჟისგან განცალკევებით, საქველმოქმედო მიზნით ჩატარდება სპეციალური ტირაჟი „გულმოწყალება“.

ბილეთების რეალიზაციიდან მიღებული თანხა დახმარების გასაწევად გადაერიცხება რესპუბლიკის ინვალიდთა ფიზკულტურულ-სპორტულ ფედერაციას.

მოგების ფონდში დამატებით ჩართულია 1990 წლის სარეალიზაციო მოსაგები ნაშთიდან 300 000 მანეთი.

„გულმოწყალების“ ტირაჟისთვის შევსებული ლატარია „სპორტლოტო 5-36“ ათტირაჟიანი ბილეთები მონაწილეობენ მოცემულ ტირაჟში ყოველ ვარიანტში ათმაგად. სპეციალურ ტირაჟში მონაწილეობის მისაღებად ტირაჟის ნომრის მაგივრად უნდა ჩაიწეროს ასო „მ“.

„ბმ“ ნაწილების მიღება დამთავრდება ლატარია „სპორტლოტოს“ 23-ე ტირაჟისთვის დაწესებულ ვადებში.

გეპატიჟებით „გულმოწყალების“ ტირაჟში აქტიური მონაწილეობის მისაღებად.

„საქსპორტლოტო“

„ლელოს“ დღევანდელ ნომერზე მორიგეობდა ლ. სარალიძე, კორექტორები: ც. ჩიტიშვილი, მ. ძეძამიძე.

ჩვენი მისამართი:
წერილებისთვის — 380009
თბილისი, ჭ. კოსტავას, 14,
დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“.

რედაქციის ტელეფონები:
წერილების განყოფილება — 93-97-55
სამდივნო — 93-97-52
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-54
„მერანი“ — 93-97-26, „მართვე“ — 93-97-27.

ინდექსი
INDEX
ИНДЕКС
66435

საქართველოს ეროვნულ-გამანთავისუფლებელი გაერთიანების „საქმობლის“ სტამბა. 380009, თბილისი, ჭ. კოსტავას, 14. ოფსეტური წესით, საგაზეთო კორპუსში, ხიშარულის, 29.
რედაქცია გულდასმით ეცნობა მკითხველთა წერილებს, მაგრამ ყოველ მათგანზე გამოხმაურებისა და პასუხის გაცემის საშუალება არ გაგვაჩნია. შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდებათ.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20